რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 7 აპრილი 1918 წ.

ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამლოგიერო განცხადება უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერელმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 80 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 80

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამავ. და თანამგზავრობით ფასიანთ ხელის მოწერაც ნუ დააყოვნებენ.

მწუხარებაში მყოფი მეოხელი სპირიდონ გლახუას ძე შვილები: ნიკიტა, პაველ, გიორგი, ანასტასია, რაფელი ეკატერინე მაქსიმეს ასული და შვილიშვილი ეორეკა ჩიტაიები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხვალ 8 აპრილს, 12 საათზე ქ. ფოთში ნახუტარის ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წმიდა და პანაშვიდი

პალაგია მაზუას ასულის ჩიტაიას

სულის მოსახსენებლათ. 1—1

ექიმების, ფერშლების, მეგზეების და საავადმყოფოს გამგეთა საყურადღებოდ

პეშკინის აფთიაქი შეუდგა ქ. თფილისში „საექიმო ცნობების" (Врачебный указатель) გამოცემას. ყოთხოვთ ყველა ექიმთ, საავადმყოფოს გამგეთ, ფერშლებს, ბებიებს, აფთიაქებს და სააფთიაქო მაღაზიებს 1 მაისამდე (ახალი სტილით) შეგვატყობინონ თავიანთი ადრესი.

პირადად ნახვა შეიძლება ყოველდღე საღ. 4—6 საათამდე.

ადრესი: პეშკინის ქუჩა № 19, პეშკინის აფთიაქი.

P. S. იქვე იღება განცხადებები „საექიმო ცნობებში" მოსათავსებლად.

„საექიმო ცნობები" დაურიგდება უფასოთ ყველა ექიმებს, სასტუმროებს, აფთიაქებს, სააფთიაქო მაღაზიებს და ს.ხ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე ქალაქის საბჭოს შენობაში (ერევნის მოედანი) დანიშნულია ყველა რაიონსერ ორგანიზაციების და სახლის კომიტეტების

თ ა ვ ე ჯ ლ ო ბ ა რ ე თ ა ა კ რ ე ბ ა

კრების მიზანია, სახლის ორგანიზაციებისათვის პირველ საჭიროების პროდუქტების მიწოდება.

საჭიროა დამსწრეებმა თან იქონიონ შესაფერი მანდატები.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიწათ მოქმედების მინისტრის კანცელარია ამით აცხადებს, რომ მინისტრის განკარგულებით შიმდინარე წლის 7 აპრილს დილის 11 საათზე, ქ. თფილისში, მიწათ მოქმედების მინისტრის სადგომში (პუტრე დიდის ქ. სახ. № 22) ყოფილი სადგომი სოფლ.-სწული მაზრეების მმართველობისა) მოხდება

ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ა

1,000,000 ბოთლ და 136,000 ნახევარ ბოთლიან ბორჯომის წყალზე, რომელიც იმყოფება ბორჯომში ყუთებში ჩალაგებული.

შეჯიბრება დაიწყება შეუსაბამის ჯამიდან 1 მ. 60 კაპ. ბოთლზე და 1 მ. 50 კაპ. ნახევარ ბოთლზე ბუტრელითა და ყუთებითურთ.

ვინც შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ვალდებულია შეიტანოს ერთი მეოთხედი ნაწილი შეძლეული თანხისა მაშინვე შეჯიბრების დათავებისას, დანარჩენი სამი მეოთხედი ხუთი დღის განმავლობაში, დღიდან საჯარო ვაჭრობის მინისტრის მიერ დამტკიცებისა.

მყოფელი მოვალეა გაზიდოს წყალი ბორჯომის საწყობიდან სამი თვის ვადაში დღიდან საჯარო ვაჭრობის დამტკიცებისა.

თუ, რომ მყოფელი რამეში დაარღვევს ამ კანდიციას, პირობა დარღვეულათ იცნობა და შეტანილი ფული ხაზინის სასარგებლოთ ჩაირიცხება. 1—1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თფილისის ქალაქის გამკეთება აცნობებს ქალ. თფილისის მცხოვრებთ და დაწესებულებებს, რომ, ვინაიდან ქალაქს მრავალი გამოქვეყნული აწყდება და მათთვის კი არ არის თავისუფალი ბინები, ყველა საგამომბრ: კლუბებისა, კინემატოგრაფებისა, „ჩაშა ჩაის" და სასწავლებლების ჩარიცხული აქვს ქალ. გამგეობას გამოქვეყნილა მოსათავსებლათ, და არცერთ ორგანიზაციებს და სახლის პატრონებს უფლება არ აქვთ გამგეობის დაუკითხავათ ზემოხსენებული შენობებით სარგებლობის. (3—2)

შ ა ქ ა რ ი

ხელ ახლა დანიშნულია მეხამე სერიის სახურსათო ბარათებისა (შაქარზე, ნავთზე და სხვ.) აპრილის, მაისის და ივნისისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ და მხოლოდ სახლის კომიტეტებს. იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ჯერ არ აუღიათ ბარათი სახლის კომიტეტები უნდა დაარქვონ მისი არჩევა. სახლის კომიტეტებში შეუკავშირებელთ ბარათები არ მიეცემათ.

ყველა სპეირო რჩევა და ინსტრუქციები სახლის კომიტეტის მოსაწყობათ შეიძლება საუნნო სასურსათო კომიტეტში.

(3—2) ქალაქის გამგეობის სახურსათო განყოფილება.

ჩ ვ ე ნ ხ ა ლ ხ ი ს ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო თ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს საგამგეოთველოში (ზარეთლის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

თავდაცვა და დემოკრატია

დღეს თავდაცვას დემოკრატია ეწევა.

მოდგამ და ყოველთვის გარეშე მტერს დაბალი კლასები იგერიებდენ და ომის ფიზიკურ და მატერიალურ ზარალის მატარებელები ესენი იყვნენ.

ბურჟუაზიული ელემენტები მხოლოდ ამათი საშვალებით აწარმოებდენ ომს და დემოკრატიის მეობენი ანხორციელებდენ იმპერიალისტების პოლიტიკას.

მხოლოდ ერთის ვანსხვავებით: განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში, როცა ამა თუ იმ ერის გაბატონებული კლასები საგარეო ომს უცხო ბაზრების დასაპყრობათ აწარმოებდენ, მაშინ დემოკრატიის ომში მონაწილეობის მიღება ძალდატანებით ხდებოდა და უკანასკნელი ამ ომში არას დროს დაინტერესებული არ ყოფილა.

საზოგადოთ დაპყრობითი ომები ბურჟუაზიის საქმეა და ფართო დემოკრატია აქ კლასობრივი სახელმწიფოების იძულებითი აპარატის მეობებით მონაწილეობას იღებს.

მაგრამ მდგომარეობა არსებითად იცვლება, როცა ქვეყნის თავდაცვის საქმეში თვით დემოკრატიაა დაინტერესებული და გარეშე მტრის შემოჭრა მას პოლიტიკურ და ფიზიკურ განადგურებას უქადის.

ამ შემთხვევაში დემოკრატია აქტიური ელემენტია, იგი თავდაცვის საქმეში არსებითად დაინტერესებულია და სამშობლოს დაცვა მისი საკუთარი საქმეა.

ამ შემთხვევაში პროლეტარიატს სამშობლო უკვე აქვს და იგი თავის საკუთარ ქვეყანას, თავის საკუთარ თავისუფალ სამშობლოს არავინ დაუთმობს. თუ ოდესმე გარეშე მტრის შემოსვევა დაბალი კლასებისათვის საშიში და სახიფათო ყოფილა,—ეს საშიშრობა თავისუფალ დემოკრატიას გასაკეცებულად ევლინება და მას ყოველ მხრივ გადაგვარება მოელის.

თავისუფალ ქვეყნის დემოკრატია არსებითად დაინტერესებულია მას გარეშე მტერი არ შემოესიოს, გარეშე მტერი მის საკუთარ მიწა-წყალზე არ შემოჭრას და შინაური ურთიერთობა არ მოუშალოს.

როცა მტერი კულტურულათ და პოლიტიკურათ დაბალ საფეხურზე იმყოფება, მაშინ ხომ დემოკრატია მოვალეა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს და ბარბაროსი უკუ-აგდოს.

თვით თანასწორ კულტურის საფეხურზე მდგომი ერების ბრძოლის დროსაც, თითეული მეომარ სახელმწიფოს დემოკრატია მოვალეა გარეშე მტრის შემოსევა მოიგერიოს. აქეთ მოეწყვდა და საერთაშორისო პროლეტარიატის იდეოლოგები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. 1871 წ. ომის დროს, როცა გერმანია-საფრანგეთის ერთმანეთს ეომენენ და საფრანგეთს უნდოდა გერმანიის საზღვრები გადაელახა, ფრიდრიხ ენგელსი გერმანიის დემოკრატიას მოუწოდებდა უკანასკნელ თავისი სამშობლო დაეცვა. ხოლო როცა მდგომარეობა შეიცვალა და გერმანიამ საფრანგეთის ტერიტორია გადალახა და სედანთან დაამარცხა, მაშინ ენგელსი საფრანგეთის დემოკრატიას და მუშათა კლასს მოუმართა გარეშე მტრის წინააღმდეგ მედგრათ ებრძოლა და მტერი მოეგერეინა.

მაშ, რა უნდა დაეკალოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, როცა მის ტერიტორიას, მის ქვეყანას ისეთი მტერი მოაწყდა, რომელიც თავის მდგომარეობით ფეოდალურ-დესპოტიურია და აქ განადგურებას ასეთსავე ურთიერთობას.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია სრულ პოლიტიკურ თავისუფლებით არის აღჭურვილი და ეს ქვეყანა მის საკუთარ სამშობლოს შეადგენს.

აქ დემოკრატია თითონ არის ბატონ-პატრონი და მაშასადამე, თავდაცვის საქმეც მისი საკუთარი საქმეა.

ამიტომაც, ამიერ-კავკასიის დემოკრატია, განსაკუთრებით კი, ქართველ-სომხების ფართო დემოკრატია წინააღმდეგია ოსმალეთის შემოსვევის და იგი თავდაცვის საქმეს აქტიურათ აწარმოებს.

სხვა ელემენტები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, პირიქით, მას ამ საქმეში ხელს უშლიან და მოღალატეობასაც კი უწევენ.

მართალია დემოკრატია მტერს საერთო მიზეზების გამო ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევს, ბარბაროსი მტერი წინ მოიწევს და განვითარებულ დემოკრატიას ამარცხებს, მაგრამ დამარცხება კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის დემოკრატია ,ამიერ-კავკასიის თავდაცვის საქმეს თავის საკუთარ საქმეთ არ აღეიარებდეს და მას თავის მოვალეობათ არ სთვლიდეს.

დემოკრატია თავის საკუთარ კუთხეს, თავის საკუთარ არსებობას იცავს და მას დაიმუშარე არავინ ყავს.

მით უფრო საჭიროა ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ ენერგია მოიკრიბოს, ძალები გაიარკე

შეიკეცნი, რომელნიც ამ 4 თვის წინეთ ჩაუფდნენ სათავეში მეშთთა ორგანიზაციებს, ახლა იქიდან თავის ნებით ალარ მ. დიან, პირიქით შეიარაღებულ ძალას მიმართავენ ხოლმე თავის ბატონობის განსამტკიცებლათ. და მასსა უძლურია მათ პასუხი მოსთხოვოს. მასსა უძლურია ისინი თავიდან მოშოროს და ისეთები აირჩიოს, ვინც მათი ინტერესის გამომხატველია. აი ამ სისუსტეში ისახება ნაშინელი ფსიხოლოგიური რეაქცია, საშინელი მოდენება რევოლიუციური ენერგიის, ან უძლურება მეშთთა კლასის, რომელიც ყიდდება სიფუძვლით საზოგადოებრივ რეაქციას. აი ეს მოგვიტანა ბალშევიკების ავანტიურას.

მეშთთა კლასის ენერგია მოტყდა არა მტერთან ბრძოლაში, არამედ უპასუხისმგებელო ავანტიურის ბალშევიკთა შეუფერებელ ექსპერიმენტების წყალობით.

ბალშევიზმმა თვით შექმნა საფუძველი რეაქციის და იგი მის ნანგრევებზე გაშლის ფრთებს.

ასეთია მომავალი პერსპექტივები რუსეთის რევოლიუციისა.

პრესა

„დინჯი“ „საქართველო“ ასე ეგვახასათებს:

„სოციალ-დემოკრატია იმდენ ხანს ებრძოდა თვითმპყრობელობას, რომ ყველა მისი ბნელი მხარეები შეეყარა, როგორც ეკმის ის ჯარი, რომელსაც სასაკვდილოთ ებრძვის. ისეთივე უვარცობა, ისეთივე ჯიუტობა, ეშვინოობა და ღვარძლი; ისეთივე უნდობლობა ყველფრისა და ყველასადმი, გარდა თავისი აგენტებისა; ისეთივე ბრძოლა ყველა საზოგადოებრივ მოელენასთან და ჯგუფთან—თუნდაც ეგნენ მხარის გამაგრებას სცდილობდენ თვით სოციალ დემოკრატიისაგან დასახულ მიზნებში“.

გამოდის, რომ ჩვენ თვითმპყრობელებასთან ბრძოლის გამო შეგვითვისებია ყველა მისი ბნელი მხარეები და ამიტომ ვებრძვით ნაციონალ-დემოკრატებს, თუმცა ისინი ჩვენ მიერ დასახულ მიზნებში მხარს გვიმაგრებენ. „საქართველოს“ პუბლიკაციებმა ფილოსოფიათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა მავნებელი ყოფილა და ალბათ ამით აიხსნება ის, რომ ნაციონალ-დემოკრატებმა შეიარჩინეს თავისი სიდინჯე, მაგრამ ჩვენ ვებრძვით ამ „სიდინჯს“, რამდენათ ის კონტრ-რევოლიუციონერია და რომ ნაციონალ-დემოკრატები რევოლიუციის წინააღმდეგ მდგან, ამას არ უარყოფს თვით „საქართველო“, რომელიც სწერს:

„სოციალ დემოკრატია იცავს რევოლიუციას და თავის სოციალისტურ თავებს: ნაციონალ-დემოკრატია იცავს სამშობლოს და ქართველ ერს“.

ერთი სტატეთ, „საქართველოს“ სურვილია ერი და სამშობლო დაუპირდაპიროს რევოლიუციას და სოციალიზმს. ჩვენც ამას ვამბობთ მუდამ: სოციალ-დემოკრატია იცავს რევოლიუციას და ომსაც ამ დროშის ქვეშ აწარმოებს, ხოლო სხვები მას ებრძვიან და ამით ქვეყნის თავდაცვასაც აფერხებენ. „საქართველო“ კი გამომდგარა და ცილის წამებას გვიმარაფს. მაგრამ, რადგან მას სხვა საბუთი არ მოეპოება, თავისსავე დაწერილს ამაბნევს. ის სწერდა ქართველი ერის წინააღმდეგ არის სომხობა, ოსობა და **ყველა ჯურის** რუსობაო.

ჩვენ დღესაც იძულებული ვართ გავიმეოროთ: ვინც რუს რევოლიუციონერებს და სოციალიტებსაც კი ქართველების მტრებთან თვლის, ის ფაშების მომხრეა, ხოლო ფაშების მომხრეობა, როგორ ოსმალეთთან ომს ვაწარმოებთ ხალხის ღალატია.

საერთო საქმის ღალატია აგრეთვე ის, რომ ბათუმის დაცვასს დემოკრატიის ლაზრობით ხსნიან. ან რას სწერს „საქართველო“ ბათუმის აღების გამო:

„დემოკრატია“ ნოსტალგიელეფენი გამორბოდა ბათუმის პოზიციებიდანო“.

ეს საზიზღარი ცილისწამება ისე მოსწონებია „საქართველოს“, რომ უცვლელად გადმოუბეჭდია „ალიონიდან“ ასეთივე ცილის წამება. აი ამ ცილის წამების ერთი ნიმუში „ალიონი“-დან მოყვანილი:

„შაბათს, ღამით, როდესაც ოსმალეთა რიცხვ-მცირე რაზმი ბათუმის სიმაგრეებს უახლოვდებოდა,სეფიმის სხდომაში, სადაც სწყდებოდა ჩვენი ყოფნაარ ყოფნის საკითხი, არ. წერეთელი ამბობდა: „უშეგნებლესი ნაწილი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა უკვე სდგას იქ ფრონტზე, ბათუმში, და ამ ტაძად სდგას იარაღით ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დასაცავათ“.

და მეორე დღეს კი ეს „უშეგნებლესი ნაწილი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა“ ტერის ზურგს უჩვენებს და „ტრედოვიეით გამობრობს“.

ასე ეფსებენ ეს ვაკაბატონები დემოკრატიის ლეგენს. მაშინ, როდესაც ბათუმის დამცველ ჯარს არ ალმოაჩნდა რიგიანი სამხედრო ხელმძღვანელები, როდესაც ბათუმი დაეკა პროვოკაციის და ბოსტეოდენ გამო, დემოკრატიას სდებენ ბრალს. ეს რომ მარტო მასლაათი იყოს მოცალილ პუბლიკაციებისა, რა გვეკნებოდა სათქმელი, მაგრამ ასე კოთხვის დაყენება ბომ ძირს ფუთრის თავდაცვის საქმეს, რასაც ყველა საკიროთ თვლის.

დღევანდელი აფიცრობა.

რეგოლირების პირველ დღეებშივე ოფიცრობის დიდმა ნაწილმა თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში. სხვათა შორის ეს იმით აიხსნება, რომ შეგნებული და ნაციონარბული ოფიცრობა ვერ უარიგდებოდა რუსეთის დამარცხებას. მაგრამ ეს ფურო ღრმა მაზეზიც.

ბოლო დროს რუსეთს მოეყო ერთი არა ნორმალური სენი. თითქოს ოფიცრობა იყოს განსაკუთრებული კლასი, ყოველივე სიმპოოტის მატარებელი. ეს სრულებით არ არის მართალი. ეგროპის დიდ მოძრაობაში ზზრაიდ ღებულობდა მონაწილეობას ოფიცრობა, მაგრამ ის არ იქცადა თავის კერძო, პირად ინტერესებს, არამედ ეკიდულებოდა განსაკუთრებულ საზოგადოებრივ - სოციალურ ფრეგს და მის იდეალებს ეშსაბერებოდა. რუსეთის ფართო ფრეგნი უმბაყოფილო იყო ძველი რეჟიმით და ეს უკმაყოფილება ედებოდა ოფიცრობასაც, ამ შემთხვევაშიც ოფიცრობა არ გამოდიოდა განსაკუთრებული პროგრამით.

ოფიცრობის გადატრიალების შემდეგაც ოფიცრობის მცირე ნაწილი ზერჩრელენინის მთაგრობას. მათ რიცხვში იყო ზოგი იდეალიზმით გამსჭვალული პირები, რომელსაც სწამდა დღეკანდელ პირობებში სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობა. ამავე დროს ბალშევიკების ეკიდულებოდა პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მხეფრები, რომელიც რუსეთის ხსნას ბალშევიკურ მთაგრობის შხა ის დაკერაში ეძებდა. მიუხედავათ ამისა, რუსეთის ხალხის ჩამორჩენილმა ნაწილმა მთელი ოფიცრობა კანონის გარეშე გამოაცხადა, როგორც უშინ ზოგიერთ რუსეთის სოფლებში ბრბრო სდევნდა მასწავლებლებს და ეკლემებს.

როდესაც დღეს ჩვენ მხარეს ვასაჭირი ადგია ერთი არ უნდა გვავიწყდებოდეს. თანანამდგომე პირობებში ხალხი ომს ვერ აწარმოებს,თუ მას თავის მოგალეობით გამსჭვალული და მეოცნე ხელმძღვანელი ოფიცრობა არ ეყოლა. თუ ნაწილი ოფიცრობის გულგრილათ ეკიდება ქვეყნის დაცვის საქმეს, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ჩვენი საზოგადოების ნაწილიც გულგრილათ უცქერის ქვეყნის განსაცდელს და თავის სულიერ განწყობილების ქვეშ აყენებს ამ ნაწილის მხედრობასს. სამაგიროთ მეორე ნაწილი ოფიცრობის იზიარებს დემოკრატიის სულისკვეთებას და მთელი თავისი ძალლონით მას ეხმარება. ასეთი პირობებში ლაპარაკი მთელი ოფიცრობის ღალატზე ქვეყანასა უბედურებას უმზადებს. ყველა ის ჯარის ხელმძღვანელები, ვინც გაზწორულათ იბრძოდა ბათუმის მიდამოებში ჩვენი ნდობის და პატივცემის ღირსნი. ხოლო თუ ვინმემ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, მთავრობა ვალდებულია პასუხისგებაში მიაცეს ასეთი პირები, ხოლო მთელი ოფიცრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს უზარმაზაა. ჩვენ ვერ გავაკეთებთ იმ წრეებს, რომელიც ხალხში ავრცელებს ჭორებს, თითქოს დემოკრატიის ხელმძღვანელებს ეოლაკოს ხალხისთვის. და სამაგიეროთ არას დროს არ უნდა ვსთქვათ, რომ მთელი ოფიცრობა ხალხს ღალატობს. ასეთი ხელობა დემოგოგებისთვის და უპასუხისმგებელო პირებისთვის მოგვიდეია.

ბ. თ ეკლათელი.

გათუმის უკანასკნელი ამბები

სასსახურის გამო ბათუმიდან ჩამოვიდა ამხანგი ვალოდი გოგვაძე, რომელმაც შემდეგი ვეგიამბო:

„ჩვენი ჯარის ნაწილებში არეგ დარეგა 30 მარტს დაიწყო.

დილით ჩვენ გავეშურეთ, რათა უკან დაგვებრუნებია გამოქცეული ხალხი. როცა თავი მოუყარეთ და აუხსენით ფრონტის დაცვის საქიროება, ჯარის უმრავლესობა ეიზეს ეძებდა, ზოგი ამბობდა სამი დღეა არ გამოგვცვალეს, ზოგიც გაგვიკიდეს და სხ. იყო ნაწილი, რომელიც ეშედარებოდენ ნუ ჩაიდენთ ასეთ დანაშაულს და ნუ ძიატოგებთ ფრონტსო.

აქ ჩვენ შეგამნიეთ, რომ მტერი პოზიციებისაკენ მოიწევდა. ჩვენმა ჯავშნიანმა მოხერხებული ადგილი დაიკავა და მტერი უკუაქცია. ეს დღეკეე ყოროლის თავში მოგვიხდა ბრძოლა მტრის რაზმებთან, როდესაც აგრეთვე უკუ ვიქცეთ.

30-ს საღამოს გაძოკვადდა „დროებით ზერიგება“, რამაც ხალხში ის ეზრი დაბადა, რომ ომი გათავდაო და ბევრი შინ წამოსასვლელათ ეშზადებოდა.

მეორეგრები ეუსხიდენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას, მარა მათ მტკიცებას გასავალი არ ქონდა. პოზიციებს მხოლოდ მცირე ძალა ედგა: ... ჯარი. მეორე დღეს, 31-ს მარტს თითრის ჯარის აფიცერნა ულტიმატუმი წარმოადგინა: თუ 12 საათამდე უბრძოლველათ არ დაგვნებდებით, საათის 4-ზე შეტევას განვაჯანლებთო. მართლაც, საათის 6-ზე ბრძოლა დაიწყო. მე დავალება მქონდა ფორტები ჩამომეყენა და დამეთალიერებია. მე მოვასწარი რამდენიმე ფორტის დაყენა და დავრწმუნდი, რომ არტილერია და პულემიოტრკები თავის ადგილზე იყვნენ, ქვეითი ჯარი მოისუსტებდა. ღამე დიდი ბრძოლა სწარმოდეა. თავდამსხმელთ ხელს უწყობდა ნისლიანი ამინდი, რომელიც ჩვენს არტილერიის სავლეთას უსპობდა მტერი შეენიშნა და მოკმედება განეკითარებია.

1-ლ აპრილს შეეყიდთ ქალაქ ბათუმში დილის 7 საათზე. ვინაბულეთ გენერალი ართმელაძე, რათა მიხვალ ბრძანება მიგეყოო. მან გვითხრა, რომ ჯარი სამაგრეებიდან იხეკ და ´მიიღეთ ზომები, რომ დავაჯერთ და უკან არ დაიბრუნო.

ჯავშნანი თავის პოზიციაზე დავაყენეთ და მე გავეშურე ჯარის ნაწილებში, რათა დამერწმუნებია, რომ პოზიციებს დაბრკოლებენ. საარტილერიო და სხვა საწყობებთან შემდეგ სურათს წავაწყდეთ: პოზიციებზე წასვლის მაგიერ ჩვენი ზოგიერთი ჯარისაკაცები საწყობებში „საშოვარის“ ეძებდენ, რომ ხელკარიელი არ წამოსულიყვნენ. ეს გავბატონები სხეებსაც მოუწოდებდენ: ჩვენ დავშარცხდით, უფროსებმა გვიდალატეს, ფორტების ჩაბარებულია და თავს უშველეთო. ჩვენი „კამანდის“ დახმარებით ნაწილი ამ მაროდიორებისა, დავატყვევე, იარაღი ავეარა და კოზენდატთან გავიტეგზეთო. უკვე დილის 11 საათი შეიქნა. ჯავშნანი ნიდან სროლა აღეტეხეთ მტრის რაზმის წინააღმდეგ, რომელიც სიმაგრე სამეხის კალეკეთის ქალაქისკენ მოიმართებოდა. ამ დროს ცნობა მოვიდა, რომ ბაოტანის ბატარეიის ეხსნინ თავს, იქ ქვეითა ჯარი ნაკლებია და შეელა ესაჭიროებთ და ჩვენი ჯავშნანი ინ ე გავეშურეთ.

საკენლის სადგურთან რამოდენიმე ისი ჩვენი გამოქცეული ჯარისაკაცი ვაგონებს ეყრიდენ სახლში გამოსაქცევათ. იმათ იარაღი აეყარეთ და ჯავშნანიდან „პულიომეტები“ მივაყენეთ და დახვრეტეთ დავეშვეთ თუ უკან არ დაბრუნდებოდენ. იმათ თანხმობა გაბაკადეს უკან დაბრუნებაზე, მე მათ იარაღი დაეუბრუნე, უფროსები ავუჭირე და პოზიციებზე გავეგზავნე. უკვე 12 საათი იყო. ჩვენ ბარტახანისკენ დავიძარეთ. ამ დროს ზოგიერთ პოზიციებზე დავინახე თეთრი ბაირაღები ეყოფილებთან. არ გასულა ნახევარი საათი, რომ დიდძალი ჯარისაკაცები საკენლის სადგურს მოაწყვდა და ვაგონებში ეტეხრთ ტეხრთ. ჩვენ მაინც გავეშეზავეთ დანიშნულ ადგილს. ჩვენ დავრწუხენდით, რომ ბათუმის ბედი გადწყვეტილი, იყო, რადგანაც ჯარი თავის ნებით გამორბოდა და ვარეგი ისეე გზა მიმეცა, რათა იარაღი და ნაწილი სიმდიდრისა ორთქმლავალი, ვაგონები და სხვადასხვა ქვირფასი ნივთებით დატვირთული აგრეთვე ქალებით და ბავშვებით დატვირთული ორი ეშელონი თავის დროზე გამოსულიყო. მე გადადეკი გასაკეთებელ ბრძოლებზე ბრძოლა, ეს უზარმაზაა. ჩვენ ვერ გავეყვანთ იმ წრეებს, რომელიც ხალხში ავრცელებს ჭორებს, თითქოს დემოკრატიის ხელმძღვანელებს ეოლაკოს ხალხისთვის. და სამაგიეროთ არას დროს არ უნდა ვსთქვათ, რომ მთელი ოფიცრობა ხალხს ღალატობს. ასეთი ხელობა დემოგოგებისთვის და უპასუხისმგებელო პირებისთვის მოგვიდეია.

ახალი ამბები

სასახლო უნივერსიტეტი. დღეს „სასახლო უნივერსიტეტის დღეა“. უნივერსიტეტის სასარგებლოთ შეაგროვებენ შემოწირულებს. სასახლო უნივერსიტეტის მსმენელთა სახელით საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს თვეილისის ყველა მოქალაქეებს დაეხმარონ განათლების საქმეს და არ დაიშურონ თავიანთი წვლილი. დღესვე საგანგებოთ გამოიცემა გაზეთი: „სასახლო უნივერსიტეტი“. გაზეთში დაწერილებით იქნება დახასიათებული სასახლო უნივერსიტეტების მნიშვნელობა, აწერილი იქნება მათი მდგომარეობა ევროპაში და რუსეთში და მოთავსებული იქნება ანგარიში თბილისის სასახლო უნივერსიტეტის მოქმედების შესახებ.

◆ ბინტების დამზადება. კავკასიის ფთილ ჯვრის საქონლის საწყობი მოუწოდებს ყველას დაეხმარონ ბინტების და ბამბების დასაზადებლათ ფრონტზე გასაგზავნათ. მუშაობა ადვილია, ბავშვებსაც შეუძლიათ. იქვე მიიღება ფრონტზე გასაგზავნი შეწირულება (გოლოვინის პროსპ. № 8).

◆ თავდაცვის შტაბის განკარგულებით შეიპყრეს ჯარისაკაცი აგაჯანოვი, რომელმაც დასჭრა თავისივე პოლკის ჯარისაკაცი. შეიპყრეს ჯარისაკაცები, ალ. კარსანოვი და ჯეტილაშვილი სახაზინო ვიტოოკაკების მითვისებისთვის. დაატყვევეს ეს და 3 თვით ციხე მიუსაჯეს რ. კორნილო

ᲡᲔᲠᲘᲛ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲜᲝᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲫᲚᲔᲚᲐᲛ ᲛᲣᲨᲣᲐᲚᲘᲡᲔᲑᲐ ᲐᲚᲐᲐ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ. ᲡᲘᲛᲔᲛᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲚᲘᲡᲐᲒᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ. ᲯᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲚᲝᲜᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲠᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲭᲕᲐ.

ᲛᲣᲡᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲠᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲡᲘᲛᲔᲛᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲚᲘᲡᲐᲒᲘᲪᲘᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ ᲑᲐᲭᲘᲡ ᲠᲐᲗᲐᲛᲘᲗᲐᲪ. ᲯᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲑᲠᲘᲛᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲐᲠᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲘᲭᲕᲐ.

ᲛᲣᲡᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲘᲭᲣᲠᲜᲔᲜ ᲙᲘᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲜᲘᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐᲒᲠᲘᲡ ᲙᲘᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲡᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲐᲣᲠᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲡᲐ. ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲡᲐ. ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲡᲚᲛᲐᲜᲗᲐ ᲐᲣᲠᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲡᲐ.

ᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲐᲫᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲪᲐ ᲞᲘᲠᲘᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲒᲠᲛ ᲛᲗᲐᲒᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲐᲭᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲓᲒᲜᲡ ᲒᲠᲝᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲝᲩᲙᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲓᲐᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲓᲐ ᲯᲐᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲛᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲘᲜᲘᲡᲐ. ᲐᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲘᲜᲯᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲠᲘᲜᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲔ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲠᲘᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲠᲘᲜᲐ ᲛᲝᲜᲐᲗᲔ

მიზანია თავის ქვეყნის წაროვების სამსახური, მისი ბაზრის შოვნა და სასარგებლო ბაჟი საზღვარგარეთი.

სპანეკო კაპიტალი და მისი განსაკუთრებული ბიზნესი იმდენით მიიღება მხედველობაში, რამდენთან ბანკები გერმანიის ინდუსტრიის მიზნებს ემსახურება. თუმცა გერმანიის ეკონომიურ განვითარებას სხვა ერთიერთ ინტერესები გამო ბანკი და ინდუსტრია გერმანიაში ისე მჭიდროთ გადაბლართულა, რომ ძნელი სათქვენოა, —სად თავდება პირველი და სად იწყება მეორე.

ამიტომ გერმანიის პოლიტიკამ ვერ შეითვისა მეგაზნის ლიბერალური თვალსაზრისი, რომელიც მზათავ შეურიგდეს კლიენტის ყოველგვარ კაპრიზებს, თუ კი დროზე მიიღეს სარგებელს, რადგან გერმანიის ლეონტი სახელწოდებას ბაზინა კი არაა, მთელი სახელმწიფოა. მისი ორგანიზმის ყველა ნახვრეტებზე მიძღვრება გერმანიის კაპიტალის ხორთვები: საკვერო კონტორებში, მაღაზიებში, მადარიებში, ქარხნებში; ამიტომ არც ერთი ისეთი პირობა, რომელიც ზარმოებათა ნორმალურ განვითარებას ეხება, არაა გერმანიისთვის უმნიშვნელო, უინტერესო, მეორე ხარისხოვანი. და იქ, სადაც ინგლისელი კაპიტალისტი მხოლოდ ირონიულად გაიღიმება, მისი გერმანელი კოლეგა იძულებულია პროტესტი გააცხადოს, დაეშვერის, ყოველმხრივ ჩაერიოს საქმეში. ამ პოლიტიკას მეტად სამაგალითო ნიშვნა ოსმალეთი.

მშვენვიერთ იცის გერმანიის კაპიტალმა, რომ ვინც წარმოებაზე, მრეწველობაში ბატონობს, იგი სახელმწიფოშიც ბატონობს; და ამიტომ სწორეთ ეკონომიურ დამონებიდან დაიწყო თავისი მოქმედება.

უპირველესად ყოველისა იგი ღებულობს ბალდათის რკინის გზის გაყვანის უფლებას, რაც საშვალებას მისცემს თავისი საქონელი ცალკე აზიის მოეთხოს.

ამავე დროს რკინის გზის ორივე მხრივ აიღეს ნოყიერი და მადნეულობით მიწის ერთობ ფართო ზოლი. ამ ტერიტორიაზე გერმანიის კანონის მიხედვითაა მართვა-გამგეობა; აქ მალე გაჩნდა ბამბის პლანტაციები და ყოველგვარი მეტალურგიული წარმოება.

ამგვარათ, გერმანიის წარმოებას არა მარტო მოაქეს თავისი საქონელი, არამედ ფუძნდება აქ სრულთა ხელშეუხლებელი: გერმანიის მესაკუთარე კაპიტალისტებით, გერმანელ მოსამსახურეებით, გერმანელ ხელისნებით და რამდენათმე გერმანელ მუშებითაც.

გერმანეული წარმოება ჩნდება ცალკე აზიაში არა როგორც შემოტანილი, არამედ—როგორც ადგილობრივი მცენარე, რომელიც მაგრათ ჩასჭიდა ფესვებში ადგილობრივ ნიადაგზე. იგი თანდათან ეკონომიურ ცენტრათ ხდება; ინმასენ ნელ-ნელა მიიწევს და მასზეა დამოკიდებული გარშემო რაიონი. თუმცა გეოგრაფიულად ოსმალურია, მაგრამ ფაქტიურათ ნამდვილი გერმანულია, როგორც სავეკო დამოკიდებულებით, ისე პოლიტიკურ მიზნებით, რომელსაც იგი ემსახურება.

ეს, მძინარე მოლამ იყვიროს ცალკე აზიის მეჩეთებიდან:

„აბა არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია".

გერმანელმა კაპიტალისტმა იცის, რომ ჩქარა იგი შესძლებს ღმერთი კაიზერათ შესცვლოს და მაჰმადი—კრუპათ.

მან ისიც იცის, რომ ამასთანავე იგი გაბატონებულ რასის წარმომადგენელი იქნება, ხოლო მისი ოსმალური კლიენტები უუფლებო ხალხი.

ცალკე აზიას შეიდგ მაკედონია—ტონსტანტინოპოლის რიგი დგება.

პირველათ ადგილობრივ დასაყრდნობ ცენტრებს მოაწყობენ: საქონლის საწყობები, საკომისიო კანტორები, ცალკე წარმოებანი.

შემდეგ ახალი გაბედული აქტი: მეორდება ბალდათის კონცესიის ისტორია, გაყავთ პირდაპირი გზა ცენტრალურ სახელმწიფოებსა და ოტომანის იმპერიის სამეფოებელოს შორის.

გერმანიის ბანკი (დოიშეს ბანკ) ყიდულობს ბეღლოდ—სალონიკის რკინის გზის აქციებს.

ამ დღ-დან საქონლის გამეცელი უმთავრესი არტერია გერმანიის კაპიტალს ჩაუკიდა ხელში: ხოლო გზის ორივე მხრივ სანჭარათთ შენდება ავსტრია-გერმანიის ფერეზეი, დაძრწიან ინეენერები გამოსაკვლევათ, ჩნდება თამბაკოს ქარხნები—ერთი სიტყვით, ყველაფერი დამკვრეული გზით მიდის.

როგორც ვიცით, ხელო